

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—დეკემბერი 2018 წელი

ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:


ა) მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ შესახვევს მიენიჭოს იუნკერის ბესარიონ კემულარიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

გ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011744082487118

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

393433

14 / სექტემბერი / 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

გაცნობებთ, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია (აღნიშნული ფუნქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით სააგენტოს გადმოეცა 2016 წლის 1 სექტემბრიდან).

2018 წლის 7 სექტემბერს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა თეიმურაზ გეთიას (პ/ნ: 01026001272) № M18017291 განცხადება, სადაც მოთხოვნილია საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართის დაზუსტების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით - 81.02.03.938 (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში დაცული ინფორმაციით აღნიშნული უძრავი ნივთის მისამართს წარმოადგენს- ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელი ტაბახმელა).

გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შემჭიდროვებულ ვადებში გვაცნობოთ ჩვენს მიერ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული ქუჩის სახელწოდება. ხოლო, ქუჩის სახელწოდების არ არსებობის შემთხვევაში, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის საფუძველზე განახორციელოთ სახელდება.

(დანართი: 2 გვერდი)

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად




გიორგი ტაბატაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სიტუაციური ნახაზი
ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა

გადაწყვეტილების ნომერი M18017291

მოზადების თარიღი 13.09.2018





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ნერილის ნომერი: 03-031827741

თარიღი: 04/10/2018

პინი: 3957

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2018 წლის 20 სექტემბრის საქმე #04/031826381-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე თეიმურაზ გეთიას N M18017291 განცხადების საფუძველზე ითხოვს ქ. თბილისში, სოფ. ტაბახმელაში უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.81.02.03.938).

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები. ჩვენი მოსაზრებით, ქუჩის განვითარების არეალმა უნდა მოიცვას ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (იხილეთ დანართი).

გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური



ნერილის ნომერი: 67-01182921531

თარიღი: 19/10/2018

პინი: 2385

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 04.10.2018 წლის #03-031827741 (04.10.2018წ. #14-01182771593-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ალექსანდრე ტოგონიძე

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

